

140
971

ՀԱՅԿԵՆԻ
ՅՈՒՆԵՍԿՈ
ՅԵՐԱԿՈՒՄԸ



2 • ՀԱՄԵՇԻԱ • 1971



განა მარტო წარსული,
 მომავალი შენი —
 მძივი მძივზე ასმული,
 ასე როგორ გშენის.
 საჭირთა ფრთებიც,
 ფრთები დაუმცხრალი, —
 საჭირთა ხმები,
 ხმები სულ ცინცხალი,
 რომ წემოდან დაგხედო,
 პანგად ვიქცე იმ წამს,
 რომ ტრფობაში გამხედნო
 მშობლიურ მიწაზე!
 ფარშავანის ფერია
 შენი ჩუქურთმები,
 შენს სიმაღლეს მღერიან
 ეს ბებერი მთები,
 ტანს გეხვევა ფერიად
 ჩანჩქერების თმები,
 მზეო, მზეო,
 მზეთვალავე,
 შენს სხივებში ვთბები.

განა მარტო ლამაზი ხარ,
 განა მარტო არამაზი ხარ,
 გელათი ან ვარძია, —
 შენი თითო მტკაველი,
 შენი ლურჯი მთა-ველი
 ეს ძვირფასი განძია,
 ეს მომავლის განძია.
 შენთა შვილთა ქველობა
 ფანტაჟს ყველგან ნათელს.
 შენი ბედი ელღდა
 ამგვარი შუის ქართველს.
 ხალხი —
 გამრჯე ფუტკარი,
 წუთით აღარ ცხრება,
 გზა აქვს მას საკუთარი, —
 ცა ასწია მხრებით.

პოი, მემატიანვე,
 დღევანდლამდე, გვითხარ
 მოვალეწიეთ მა გზით?
 შაპ-აბაზის მახვილი
 და ველური ძახილი:
 — გადაჩხეთ ვაზი! —
 შენს ნაწერში ტრიალებს —
 და ხსნის იმ ძველ იარებს.
 მაგრამ მინდა ახლა
 მოგაწვდინო ხმები,
 ჩვენს ღერბს შეუტად ახლავს

მკლავის სიმსხო ჩხებიც,
 იმღება და...
 მალღაც
 იწვეს მწვანე ზურები.
 პოი, მემატიანვე,
 რა ძნელი გზით ვიარეთ;
 დღეს სამშობლო გრიალებს,
 ძლიერს დროშა ფრიალებს.
 ნეტავ, ახლა გარჩენა,
 რომ ქართულის მარჯვენა,
 გრგვინავს შრომის ნაღარად
 და ეს მიწაც გარდიქცა
 ეღვინა და ბაღნარად.
 ხალხი შრომის ერთგული,
 ტრფობის შემოფეთება, —
 მალე კოლხეთს ეხვეური
 მილიონ მხედ ენთება.
 ხალიბების ფოლადი
 რუსთავე-ქალაქს კრიალებს,
 ქართლი —
 ხვავის ხომალდი,
 ატმის ცეცხლში ბრიალებს,
 მართლაც როგორ ავმაღლდით
 ჩვენო მემატიანვე!

განა მარტო წარსული,
 მარტელი ან ვარძია?
 გოჯი მიწაც ქართული
 დღეს ძვირფასი განძია.
 სუფევს ჯამი ეღვარე
 შენების და ოცნების, —
 კვლავ
 დავლაშქრავთ მწვერვალებს
 ჩვეულ პატიოსნებით.
 და სიმღერაც ქართული,
 წკრილა და ფროსანისი,
 გვინდა იყოს განთქმული, —
 იყოს პატიოსანი.

მშობლიური ხალხო
 მადლიანო ხალხო,
 მშენებელი ხალხო —
 ლამაზი და მათალი,
 ამაყი და ძლიერი,
 იმ წინაპრის იერით,
 მზად მინდა განახო —
 შენ,
 ქართველო ხალხო!

ლილარ ივარაძე.

ზნარი
პუწოროთ
პიონერულ
დროჟას.



თქვენი წილა

პირი სხახაჲ

58511

ნანას უხაროდა, რომ მისი ცხოვრების ეს დასასრულბელი დღე გარეწუნადაც განსაკუთრებული გათებდა. ღამით უსპეტაკესი თოვლი დაედო და საამო იყო ქუჩაში გახედვა, მზის სხეულისაგან ხელუსლებელ თოვლზე გაგლა, ფეხის დაღმისთანავე რომ ჰკარავს სიმაღლეს და ღრმა კვალს იტოვებს.

გუმინ ნაშუადღევს ეწვია ნანას ეს სიხარული, როცა შეიტყო, რომ ნანატრ-ნაფიქრალი დღეს უნდა ახდენოდა. მართალია, ეს ისეთი ნატვრა და ფიქრი იყო, მარტო მას რომ არ ეკუთვნოდა, მაგრამ მაინც ჰქონდა მიზეზი სხეებზე მეტი სიხარულისა.

ნანამ ჩანთაში წიგნები ჩაილაგა, წითელი ყელსახვევი მოხდენილად გაინასკვა, ქუელი დაიხურა. ისეთ კარგ გუნებაზე იყო, რომ ეს ჩვეულებრივი საქმიანობა სიხარულს ჰკვირდა, თითქოს ზეინზე მიდიოდა.

ჯერ ზეიმი ადრეა, მისი დროც მოვა. წითელი, პიონერული დროშების მონაშექი აცემცილებდა ნანას თვა-

ლებში. ეს დილა ერთი ნათელი საფეხური ან ზეიმისკენ მიმავალ გზაზე. ეს დილა იმედების დილაა და, ალბათ, ამიტომ არის, რომ მისი სითუთერ განსაკუთრებით ვაზა გულს. აი, ნანა გადაივლის ამ ქუჩას, მერე ჩასახვევს გასდებდა და სკოლაც გამოჩნდება. გაკვეთილების შემდეგ ხელმძღვანელთან ერთად რადიოკომიტეტში წავა. განა რაზე უნდა წააკითხონ. მაგრამ იქ შეხედება ადამიანებს, რომლებიც მას და მის ამხანაგებს შეიძლება გზის გაკვეთვაში დაეხმარონ. მაინც რა გზა ავთ გასაკვლევი? რას ეძებენ? ან რატომ სწამს გოგონას, რომ სწორედ დღევანდელი დღე მისცემს მას საგზურს პიონერების დიდ ზეიმზე დასასწრებად? ჩვეულებრივ ხომ ასე ხდება, რაც მეტი წილი მიგიძღვის საერთო საქმეში, მით უფრო ხარობ ზეიმზე მისული, ლხნასაყ უფლება უნდა ზოგჯერ და სხვებისაგან მონიჭებული კი არა, მინაგანი, საკუთარი შეგნებისაგან ნებადართული.

და, აი, ნანა ქუჩაშია. თუთრი, ფემფულა თოვლი სწრაფად იტკეპნება მისი სწრაფი ნაბიჯებისაგან.

მაინც როგორ დაიწო ყოველივე? ...მყუდრო, თბილისური სექტემბერი იდგა. ქალაქი სახეე იყო ატმებითა და ბროწყულებით, ლედვითა და ყურძნით, მზითა და ხმაურით. როცა ნანა სკოლისაკენ გასწევდა, ქალაქში სწორედ მაშინ შემოდოლიდნენ გლდანელები, ავგალელები და ქუჩაში ტოვებდნენ შემოდვის სურნელს.

ეს სურნელი გოგონას მუდამ ახსენებდა სოფელს, არიგებულ-ჩარიგებულ ბაღენახებს და უთოულ თანატოლებსაც. „რა გინდა მათ არ იციოდნენ, - ფიქრობდა გოგონა, - მარცა თუ თონა, რწყვა თუ სხვალა. როცა არ უნდა ჩახვიდე, მუდამ შრომობენ“.

ფიქრი თანდათან იზრდებოდა, ივრცობოდა. ქალაქელი ბავშვებისადმი სიბოროლესაყ კი გრძნობდა, რომელთაგან ბევრს სოფლისათვის მხოლოდ გზიდან



ნანა მუხახაძე

საქართველოს ახალგაზრდა კომუნისტების და პ. ო. ლენინის სახელობის შიდა კომუნისტური რაიონის ახალგაზრდა კავშირის უფროსი მდიანი სპარკოვნიკი სპარკოვნიკი




კამკენა

2 - თ ა ჯ ა კ ა ვ ა ნ ი . 1971

გამოცემის 45-ე წელი



საქ. კ. მ-ის გამომცემლობა





3. თბილისის
ლენინის
ჩაბონის
პიონერული
კოლხობიკების
ხელმძღვანელი
კომპაზიტორი
(1926 წელი)

თუ მოგვრა თვალი. არ იცოდნენ, რა ლამაზად პურდებოდა ყანა, არ ენახათ ნამაკალ ყანებში ჩაჩრნილი მწყურის ბარტყები, არც ის, თუ როგორ იყრის თავს სიმინდი... „დალილობა რაა, დალილობაჲ სხვაგანარია სოფელში, სააშური, ჯანსაღი“.

იმ დღის მერე დიდი დრო გავიდა, ავერ ჩამოხაზორდა კიდევ, მაგრამ აქამდე მოკცა მამინდელი ფიქრთა მდინარების ანარეკლი: „დღეს რაზმები მარშრუტებს დაინაწილებენ. რა იქნება ჩვენს რაზმს რომ შევთავაზო ასეთი მარშრუტი — „სსრკ ჩვენი სამშობლოა“. გავცნობით სხვადასხვა რესპუბლიკის პიონერებს. მაინცდამაინც დიდ ქალაქებს არ მივეტანებით. გავგზავნით წერილებს, ვთვკათ, უკრაინის ან ციმბირის სოფლებში, დავმეგობრდებით, დავახლოდებით. ენახათ იქაურ სოფლებს, ვაჩვენებთ ჩვენსას“.

ასე ვარაუდობდა რაზმის საბჭოს თავმჯდომარე ნანა მუხამეძე, ამ რამდენიმე თვის წინათ დიდადღირან სკოლაში მის მავალი. მერე ამხანაგებსაც გაუხაიათ ეს ვარაუდი. იმათაც მოუწონეს. მაგრამ რაზმის ხელმძღვანელმა ქეთევან მოქიამ თავი შორს დაიჭირა.

— ვე მარშრუტი ყველაზე უფრო VII2 კლასის მოწვევლებს შეფურცობათ. ისინი ხომ ერთი წლია ლენინგრადად პიონერებთან შეგობობენ. მართი გაუგზავნეს აზერბაიჯანულ ბავშვებსაც. საკავშირო

მარშის კვალდაკვალ სხვა სამეგობრო გზებზეც გამოძიებნენ. ასე რომ, ვე საქმე მათ დაგუნარჩუნოთ. ჩვენ სხვა ვაკეთოთ.

— მაგრამ ხომ შეიძლება ჩვეც გვყავდეთ ჩვენი მეგობრები, — შეამედა ხელმძღვანელს თამაზ ვასაძემ.

— გვყავდეს, რატომაც არა, მაგრამ ჩვენი უფროსი პიონერხელმძღვანელის ადელის დავალებით თქვენს რაზმს არანაკლებ საპატიო საქმე ვეისრება.

ბავშვები დიდი ნდობით ექვემდებარებოდნენ ხელმძღვანელს. ჯერ იმიტომ, რომ მათზე ბევრად მეტი იცოდა, თუცა სულ ერთი კლასით უსწრებდათ. გარდა ამისა, მუდამ გულწრფელი იყო თავის უმცროს ამხანაგებთან. ამ ღირსებებს ისიც ენატებოდა, რომ იგი საუკებოდ ეცეკვავდა, ლენინის რაიონის მთელი ახალგაზრდობა იცნობდა და პატივს სცემდა ქეთევანს. ხოლო ამ მარშრუტის არჩევამ რაზმის ხელმძღვანელს ინიტომაც დაეჯერებოდა მეტი, რომ თვითონ იყო მარშრუტის მეგობრობის საბჭოს თავმჯდომარე. მერე ისიც მხედველობაში იყო მისაღები, რომ მისი ტყუპის ცალი ძმა გურამი გასულ ზაფხულს ლენინგრადში პიონერთა მეთვლი საკავშირო შეკრებაში მონაწილეობდა და და-ამას ბევრჯერ უსმელობდა, თუ როგორ უნდა ემუშავათ რაზმთან და რაწმეულთან, როგორ მოეპოვებინათ ყველაზე უკეთესი შედეგები.

— მანინ რა უნდა ვაკეთოთ? — იცი-

თხა ნანა მუხამეძე, რომელსაც ხალისი წართმეოდა.

— პიონერული ორგანიზაციის საიუბილეოდ ჩვენს რაზმულში პიონერული ორგანიზაციის ისტორიის მუზეუმი იქმნება. მუზეუმი სადღესასწაულოდ გაიხსნება. თქვენ იქნებით ჩვენი რაიონის პიონერთის ნორმა შემატიასებები. რაზმეულის საბჭომ არჩევანი შემთხვევით როდი შეარჩია თქვენს რაზმზე.

— გასაგებია, — მიუგო ქეთევან ხელმძღვანელს ქეთინო მაისურაძემ. — მაგ არჩევანის მიხედვით ჩვენი ნანაა.

მუზეუმის შექმნა კარგი აზრი იყო. კვლევა-ძიება, გაკითხვა-გამოკითხვა, მიდგომ-მიდგომა ბავშვებს არ ვარაუბოდა. სახელოდ მხოლოდ ბებია კი-მას დაყოლიება მიჩანდა. ის იყო ერთერთი პირველი პიონერთაგანი და ალბომებში დიდი სიფრთხილით ინახავდა მამინდელი ამხანაგების სურათებს. „მართალია, ჩემი ბებია ყველა სათხოვარის მისრულებს, მაგრამ ფიქრებს არ მომცემს“ — წუხდა ნანა.

მისი რაზმელებიც ამ აზრისა იყვნენ. ბებია კიმა მოგონებების ჩაწერას არ და-აბალიდა, მაგრამ ახალგაზრდობის მისრულებს სასიოვარს ენელოდ გაიმეტებდა, ვითო დაშეკარგოს.

— როგორ მემინოდა და რა იოლად მიგვარდა ყველაფერი! — ფიქრობდა განსარბული გოგონა და ქუჩიდან ქუჩაზე გადადიოდა. მართლაც, ყველა სასურენ-

ვი, დიდი თუ მცირე, რაზმში მალე განაწილდა. თანდათან ბავშვებმა სკოლის პიონერული ორგანიზაციის წარსულში ჩახედეს. გაითვალისწინეს მისი ცხოვრების აწვლა საფურერი. მარაიალი, კიდევ ბევრი რამ ჰქონდათ დასაზუსტებელი და შესადარებელი, მაგრამ მინც დიდად ხარობდნენ იმიოავ, რაც მოეძებნებინათ. თუმცა ფოტოების საქმე ვერა და ვერ გვარდებოდა. ნანას გამწვანება არ ჰყოფნიდა; ბოლოს პიონერხელმძღვანელებს შესჩივლა:

— ბებიას ვერა ვთხოვე ფოტოსურათები. ისე უკვლის მათ, ისე ეშინია არ დაეკარგოს...

— გადავიცე პატრიცემულ კიმას, — დაბარე ადელი ხელმძღვანელებმა, — რომ ფოტოპირებს გადავუღოთ და დედანს უკრავ დავებურებოთ.

— ო, როგორ ფიქსარა ბებია კიმამ. — გაგიღო ფოტოები ნანას. — მამინევი გამობატანა. არასოდეს გავფრთხილებივარ ასე ჩანთას, იქ ხომ 1924 წელში გადაღებული ფოტოები მეყო. მიხილდა ჩქარა მივსულიყავი სკოლაში და ადელი ხელმძღვანელისათვის ჩამებარებინა. მერე ყველანი მართო იმისათვის იზრუნებდნენ, რომ იქ აღბეჭდილი სახეები ამოეცნოთ. ბებია კიმას მხოლოდ ორი მათგანი ასოქდა — ივანე ფარცხალაძე და გალენტინა საჯაია. ბავშვებს მათ შესახებ დიდი ხანია გაგებულნი გვერდავალდებინა ვიცნობდით კიდევ — პლენსანოვის სახელობის კულტურის სახლში საბავშვო სექციას ხელმძღვანელობს; ივანეც გაიცინათ. მათი მოგონებები უკვე ჩაწერილი გვექონდა, აკონძული და ლამაზ ყდებში ჩასმული, მაგრამ დანარჩენები? ვინ არიან? რა გზა განვლეს? მოგონება მოგონებას შევასება, მერე იტყვოდნენ, რომ აქ, ყოფილ რკინიგზის 1-ლ სკოლაში, ასლა რომ 112-ე ნომერს ატარებს, დაიწერა პიონერული ორგანიზაციის ცხოვრების პირველი ფურცლები“.

— ნანა! — შეებნაურა ვიდეც. ეს VI² კლასელი ნონა გელაძე იყო, რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე. იგი ნანას მოსახვედრად ქუჩაზე გადმოდიოდა. გოგონებმა სკოლისაკენ ჩაუხვეყეს. აქ თეთრი თოვლი მოვდა მიტკენილი დახვდათ.

— როგორ მიდის თქვენი საქმე? — იკითხა ნონამ.

— ბებია მ სურათი მოგვცა, — დაიწყო თხრობა ნანამ. სწორედ გემში მოვიტყვევ სკოლაში. ზარი დაირგვა, დვრტყვანში რომ შემოვყდი. პიონერთა ოთახში ვეღარ შევიარე, გაკვეთილის

დაწყებამდე გულმა აღარ მომიოთინა და ამხანაგებს ჩავახედე სურათში. როცა მასწავლებლები შემოვიდა, სურათი სხვა რიგში აღმოჩნდა.

— მომიტოპ აქ, — თქვა მასწავლებელმა. — ვინ არიან ესენი?

— პირველი პიონერებია. — უკახსა რამდენიმე. — გადაღებულა პირველი პიონერული შაბათობა ორთქმავალ-გაგონშემტყებულ ქარსანში 1924 წელს.

— ეს ქარსანა ახლაც ჩვენი შეფია. — ჩვენც გადავიტოპ იქ სურათები, როცა რაზმის შეგდება მოვაცყეთ.

გაკვეთილების შემდეგ სურათი ჯერ სამასწავლებლობი აღმოჩნდა, შემდეგ დირექტორის მაგიდაზე და, ცოტა გვიან — პიონერთა ოთახში. რა იყო ასალღვეული, მაგრამ მე მინც ვეღავადი და მხოლოდ მამინ დავშვიდდი, როცა ქმეთვან ხელმძღვანელმა თქვა:

— შესანიშნავია!. ჩვენ რომ ეს სურათი რამე გზით პირველი პიონერები-

მძღვანელი ჩვენი სურათების გულშემატკივარი და ზუსი მარწვენელი. დღეს მივღვართ რადიოკომიტეტში და; თუ რაიმეს მივაკვლით, მუხუვმსაც ვარჩევთ და ბებიასაც ვაგაზარბთ.

დღერეანბ გოგონებს ნინო ჩარკიშვილი შემოუერთდა. ნინო VII² კლასის მოსწავლე იყო, რაზმის საბჭოს თავმჯდომარე, და ძალზე ამავიდა თავისი მარწმუტით „კოდნის სამყაროთი“.

— მომილოცავს გამარჯვება! გავიგე, რომ თქვენს კლასში ორიანები აღარ იწერება, — გაუღმა ნანამ.

ნინომ თავი დაუქნია:

— ჩვენ მინც განვაგარბობთ ბრძოლას. ბევრი სამოსანი გვყავს. ბევრს შეუძლია უკეთ სწავლა და ისწავლის კიდევ, თუ კი ვეცდებით...

— ეცადეთ, — წააქეზა ნანამ და კიბე აირბინა.

ჩვენების დაცვაკვედნენ. ნანამ თავისი მერხი მოძებნა, მაგ-



სკოლის პიონერული აპტივი.

სათვის გვეწვევებინა, უთუოდ ბევრი იცნობდა თავის თავს, ან ამხანაგს, ან ნაიესავს...

მოულოდნელად ადელი ხელმძღვანელმა გვიჩრია:

— ამ დღეებში რადიოკომიტეტის საბავშვო გადაცემათა რედაქციაში პირველი პიონერები ჰყავთ მოწვეულები და იქნებ იქ მივცენანა.

— აი, როგორ გახდა ადელი ხელ-

რამ დაჯდომას არა ჩქარობდა. ციდან თეთრი ფიჭები ჩამოიდიდა, წელი, თანახარი რინინით. ამ თოვლის იქით გოგონა ხედავდა წითელ დროშებს, პიონერულ საყვირებს, მწკობრში მოშავალ თანატოლებს, თითქმის მათი ნაბიჯების ხმაც ჩაესმოდა. მისი რაზმიც მოდიოდა, თამამად მოაიხვედნენ VII² კლასელები, რადგან რაზმეულისათვის მიცემული სიტყვა პირნათლად შეესრულებათ.

ფოტო ბ. სარიშვილისა.

მინიკონკურსი

გოთხრობა

სულხან ქეთილაური

მატყარი ჯემალ ლოლა

ლასს ისე არაფერი არ სწადა, როგორც ტყეში სანადიროდ წასვლა. კვირადღეობით, როცა კი მამა სანადიროდ მზადუნება დაიწყებდა, — ბრუნჯის შარვალ-ხალათსა და რეზინის გრძელყელიან ჩექმებს ჩაიცვამდა, წელზე დატენილი ვაზუნებით სავსე სასწრაფოს შემორტყამდა და კედლიდან ძველ, ორლულიან თოფს — „ტულას“ ჩამოხსნიდა, ქვემაგიებიდან გამოძვრებოდა, თმაგაჩნილი და მობუზული მამას წინ ატეუნებოდა და მუდარით მიაშტერდებოდა.

— მამა, წამოყვანე რა, მეც!
— ახლა არა, მერე. — ეტყოდა მამა.

ლამა ცხვირს ჩამოუშვებდა, ერთი ნაბიჯით უკან დაიწეებოდა და წარბებქვევით მამას უკვე მყვარად მუხუდავდა.
— როდისა? შენ სულ ასე მიპრდები და... მატყუებ.

— აბა, რატომ მწამებ ცილს? — უსაყვედურებდა მამა. — აკი გითხარი, გაზაფხულზე, მეთხუე კლასს რომ დაამთავრებ, უკვე დიდი ბიჭი იქნები და მაშინ წაგიყვან-მეთქი. თავზე ხელს გადაუსვამდა, — ნუ გაიბუტები, დაიძინეო, — ეტყოდა და ჩანთითა და თოფ-სასწრაფოთი აღტურვილი კარს ფრთხილად გაიხურავდა.

ლამა ფანჯარასთან მიდგებოდა და დაღვრემილი გაყოლებდა თვალს ორღობეში მიმავალ მამას, რომელსაც თავისი განუყრელი შვიი მეძებარი — აღმასაც გვერდით მიჰყვებოდა. მამა გრძელი ნაბიჯებით მიამოტებდა, აღმასა კი ხტუნვა-ხტუნვით მიდიოდა, კულს გაუჩერებლად აქიციუნებდა და, თითქოს ლამას გამოსაჯავრებლად, წამდაუნუე უკან იხედებოდა.

სანამ მამა და აღმას ორღობის ბოლოს არ გაუჩინარდებოდნენ, ლამა ფანჯარას არ მოშორდებოდა. მერე უნადიროდ გამობრუნდებოდა უკან, საწოლის კიდეზე ჩამოჯდებოდა, გულდაწყვეტით ამოიხრებდა და სასწავლო წლის დამთავრებამდე დარჩენილ თვეებზე და კვირებს თითებზე ჩამოთვლიდა.

დრომ ჩვეულებრივ სწრაფად და შეუმჩნეველდ გაიარა, სასწავლო წელი დასრულდა, გამოცდები ჩამოთავდა და ბოლოს კი ნანატრი, ბოლო დღეც ადგა. ლამა დილით უთენია ადგა, ფიცაფუციით ჩაიცვა, პირის დაბანა და სკოლისაკენ ჟრიაბული მიმავალ თანატოლებს შეუერთდა.

ლამას უზომოდ უყვარდა ეს უკანასკნელი დღე, მარტო ერთი საათით შეიკრიბებოდნენ კლასში, ჯასუსის დამრიგებელი ნიშნების ფურცლებს ჩამოთარგებდა და სკოლისკენ კარგად გატარებას უსურებდა. მერე ლამა ბელურასავით თავისუფალი

იყო და, ჰერი! გასწევდა, საითაც მოუპრინებოდა. დაგვიანებისათვის აღარც შინ გაუწყრებოდნენ და, თუ მოიწადინებდა, მთელ დღეს ბურთის თამაშში დაღაამებდა, არადა, თანატოლებთან ერთად ველ-მინდვრებსა და ჭალაში ირბენდა.

მაგრამ დღეს არც ბურთის თამაშს აპირებდა და არც ჭალაში სირბილს, — სიხარულის სულ სხვა მიზეზი ჰქონდა. კლასში მოუყვინარდა იჯდა, ცმუკავდა, მასწავლებელს ყურს ვერ უგდებდა, ერთთავად ფანჯარაში იხედებოდა და სულ იძის ფიქრში იყო, ჩქარა მისულიყო შინ და მამისათვის დანაპირები მოეგონებინა. ახლა ალბათ აღარც მამა ეტყვის უარს. განასულ იმას არ ჰპირდებოდა, მეთხუე კლასს რომ დაამთავრებ, მაშინ წაგიყვანო!

მასწავლებელმა მორიგი ფურცელი აიღო და ლამას გვარი ამოიკითხა. ლამა ფიქრიდან გამოვრცედა და მაშინვე ფეხზე წამოხტა. მასწავლებელის სიტყვის დამთავრება არ აცალა. ნიშნების ფურცელი თითქმის ძალით გამოჰკლია ზედიდან და პირდაპირ კარებს ეცა. კიბე თავპირისმტკრვეით ჩაიღინა და შინისაკენ მიმავალ ორღობეში გაიჭრა. სირბილთვე შევარდა საკუთარ ეზოში და ატყანებულმა მამადალი ყვირილი ატება:

— მამა! მამილო!

ყვირილზე არავინ გამოჰასუსხა, — სახლიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა და კარებიც ყველა გამოკეტილი ჩანდა. ლამამ კიდვე დააპირა დაძახება, მაგრამ უცხად გაასენდა, რომ მამა და დედა ასეთ დროს კოლექტივის სამუშაოზე იქნებოდნენ წასულინი და ხმა მუდმივე ჩაუწყდა. — ფუჰ, არაფერი იღბალი არა მაქვს! — ჩაიდუღუნა ცხვირში, — ფუჰ, არაფერი იღბალი არა ჩამოვდებოდა კარი მუხსნა და ცარიელ სახლში უცხოთვე შეაბიჯა, ნიშნების ფურცელი საწოლზე მიაგდო და საკამზე მოწყვეტით დაეშვა.

ერთხანს ასე იჯდა დაღვრემილი, მერე წამოდგა, შუა კარი შეადო და მამის ოთახში შეიხებდა. მამა კარგი მონადირე იყო და თოფებიც მეგობი და მრავალნაირი ჰქონდა. თოფები შალითებში ეწყო, კედელზე მწყრივად კვიდა და თავ-თავიანთი ყალბის სასწრაფოებიც ხედავდა წამოცმული. მარტო ძველი „ტულა“ აღარ ჩანდა თავის ადგილზე. მამას ამ თოფით უყვარდა ნადირობა და სამუშაოზეც სულ თან დაჰქონდა. აღმასაც თან დაჰყავდა. იქ ხან მწყურსა და ქედნებს ხოცდა მინდორში, ხან კიდვე სადამოს შინისაკენ მიმავალი, სოფლისპირ-

შორს არ წავალ, აი აქვე გადავალ, ტყეში, და უკანვე დაბე-
რუნდები“.



ეს აზრი ძალიან საიმედოდ ერგვნა. მაგრამ მამის უნებართვად
თვოდ თოფის აღება უცხად მაინც ვერ გახდოდა. კიდევ კარგა
ხანს იდგა კარში წირთხლზე მსარჩიურდობილი და ჭოჭ-
მანობდა, ბოლოს მაინც სძლია ცდუნებამ, სუურჩლზე გადაა-
ბიჯა და სულ ბოლოში რომ კვიდა ცალკულუანი თოფი, ის
ჩამოიღო.

თოფის აწყობა არ გასჭირვებია, — ეს მამისაგან ასხულდა.
ლულა და კონდახი ადვილად მობარჯო ერთიმეორეს, მაგრამ აი,
სასწრაფომ კი პირდაპირ გააწამა: ისეთი გრძელი იყო, რომ
წელზე ბარე ორკევად შემოსწვდებოდა. ერთი პირობა ვაზნე-
ბის ჯიბით წაღება გადაწყვიტა, მაგრამ მალევე გადაიფიქრა:
ლამას უნდოდა ყველაფრით ნამდვილ მონადირეს დამსგავსე-
ბოდა, და უსასწრაფოდ კი, აბა, რა შინა და ლაშათი უნდა
დასკოლოდა! ბოლოს, რაკი სხვა ვერაფერი მოუხერხა, ბალ-
თები შეუკრა და ძველი ყაჩაღივით მსარიღლივ გადაიკიდა.
ახლა მხოლოდ იმასდა უნდა ცდილიყო, რომ მეზობლებს არ
დაეჩანათ და, როგორც ნამდვილ მონადირეს შეშვეენის, სოფ-
ლიდანაც შეუმჩნევლად გასულიყო. ესეც ადვილად მოახერ-
ხა, — ამ დროს მინ არავინ დადგება, ხალხი მინდვრებში სა-
მუშაოზეა გაეგრეფილი, და ლამამ ისე ჩაათავა ორღობე, ისე
გავიდა სოფლისპირა ბუჩქნარში, რომ კაცინივლი არ შეხ-
ვედრიდა.

ბუჩქნარის ბინადარმა ჩიტებმა ლამას გამომჩნაზე ერთი
გნისი და ათიაქოთი ატყეს და ფრთხილ-წირიპირით
ხშირ ფოთლიანებში მიიმალ-მოიმალნენ. მაგრამ სულ ტყუი-
ლად კი — ლამას მათთვის ზედაც არ შეუხედავს. ახლაც
ხომ რუხინის შურდულა არ ეჭირა ხელში, რომ ჩიტებს გა-
მოსდევნებოდა, თოფ-იარაღში ჩამჯადარი მონადირე იყო.

არა, ლამა ჩიტზე ხელს არ გაისვრის და, ვარდა ამისა,
თოფის გასროლასა და გახმინებას სხვაფერივც უნდა მოერი-
დოს: ბუჩქნარს ხშირი, დაბურული ტყე აკარავს. იმ ტყეში, ვინ
იცის, რა ნადირი ბეღობს და, თოფის ხმაზე კვი ყველა გაფრ-
თხება.

ფრთხილ და დაკვირვებულ მონადირეს ტყემ თითქოს გაუ-
გო, — თითქოს შორიდანვე ხელგამწოთ შეეგება, თავისი
მწვანე კალთა გადააფარა და სახეში სიგრილე და სურ-
ნელი შეაფრქვია. ბუჩქნარისებური ტყიპინი და ფართოფურ-
თი ოდნავადაც არ იგრძნობა. ხეთა დიდღრნი ტოტები ნელა
და ხალვათად ირხევა, გაბმით შარიმურბოს ნედლი ფოთლი
და საიდნადაც ნაკადულის უწყვეტი, თანაბარი ჩქარაიციც ის-
მის. აქ ჩიტებიც უფრო დინჯად, უშიშრად და აუჭარბებლად
სტვენენ, რის გამოც ირგვლოვ თანაშემიერ სინშვიდეს და
იღუმალებას დაუაადგურებია. არცერთი ზედმეტი ჩქამი და
უადგილო მოძრაობა, — თითქოს ყველა სულიერსა და უსუ-
ლი ტყისთვის შეეწყობოთ ხმა და თვითონაც ტყეს შერწყმოდნენ.
ტყის ეს თავისებური იღუმალება მალე ლამასაც გადაადლო.

ნაბიჯი შეანელა და თავისდაუნებურად სიფრთხილეს უმატა,
სმენა და მსურადასაბული უხმაურიდ მიიბიჯებს სვეტს შორის
და ყოველ ბუჩქს, ბარდას და ღრანტეს მიკვლადსმით უვერავს.
მართალია, ჯერ თვალთ არაფერი ჩანს, მაგრამ ტყე ისე
საეჭვოდ არის გაკუმბებული, რომ უსათუოდ ნადირით საცემ
უნდა იყოს. აი, უკვე გაურჩიდა ფეხებში რაღაცამ და ხმელი

რა წარაფებს ამოკვევბოდა და კურდღლებმა და ტყის ქათმებზე
წინადირებდა.

ლამა მოხუხსულივით შეკუმბებდა კედელზე ჩამწკრივებულ
თოფ-სასწრაფოებს და თავში მაცდური აზრი უტრიალებდა:
„ვითომ რა მოხდება, რომ მარტო წავიდე? არაფერიც აქ მოს-
დება. განა მამა სულ მარტოკა არ დადის? თანაც მე ხომ ისე

ფოთოლი ამხრიალა. ლაშა შიშისაგან შეტბა და თოფი შემართა, მაგრამ როცა ერთი ციდა, გაწლოკილი ნადირის ყვირთზე გაეღებულ ტანს მოჭრა თვალს, თავის მიშზე თვითონვე გაეცინა. დედოფალა ყოფილა, — თქვა ჩურჩულით და გზა განაგრძო.

მაგრამ ორი ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოასწრო, რომ ახლა სმუნა გაუქროლა თვალწინ და შიშმა ერთ ადღზე შეატბა-ტუნა. უუტ, დასწყველოს დღითობა! ამ ჩიტებმა და წვერილ-ფეხსობამ პირდაპირ თავი მოაბურსენ. რა უნდათ, ხომ ხედავენ, რომ შონადირეს მათთვის არა სცალოა, თავისი გზით მიდის და ღირსეულ ნადირს ადებებს. ესენი კი მოულოდნელად გამოუტყვერებია ცხვირწინ და სიფრთხილად და ყურადღებს აკარგებინებენ.

ტყეში აქა-იქ შის სხივი ატანდა. ასეთ ადგილებში შამბსა და მყავლას ამოყვარა, ხოლო ხის ძირებს გვირგვინა და ხვიარა მოსდებოდა. ზოგან ნემომბალაზე წითელუდა სიკოებში წამოზრდილიყო, იქვე წყლის თვლი მივინახავდა და სველ ფოთლებზე შის სუსტ ანარეგლს აჩენდა. ლაშა პირველად შევიდა ასე ღრმად ტყეში და, რასაც ხედავდა, ყველაფერს გულდასმით აკვირდებოდა. ერთგან ტყის შავ-წითელი, დიდ-რონი ტიანჭველების სართულებად აკოვლებ ბუდეებს წააწყდა. სხვაგან თხუნულას მიწისქვეშა გვირგვინმა გააკვირვა-ბოლოს ერთ ხშირტიანს გაეკ-დაზლობში გავიდა, რომელსაც შუაზე კარგა მოზრდილი, ღრმა დეულ ჩაუდოდა. დელის გამომდნა ნაპირი თავიდან ბოლომდე ბუერას ადგურას, გაღმისა ნაპირზე კი ქარის ნალექი ან ძირიანად ამობრუნებული უზარ-მაზარი ხეების ჯებირი ჩახურავილიყო. შირი, აყრილი ტყეს ჩარ-დასხივით შეგვრა თავი, შის ერთ ჰაჟია სხის არ ატარებდა და დაბლობში თითქმის ბნელიდა.

აი, სწორედ ასეთ ადგილებში აფარებს თავს ნადირი დღისით და მონადირული სიფრთხილად და საზრუნავს სწორედ აქ არის საჭირო, რომ უდავლივო მხაურით ნადირს არ გააფრთხოს ან პირიქით, თვითონვე არ წააწყდეს ზედ მოულოდ-ნელად და თავი სიფთოში არ ჩაიკვლოს. ლაშამ ყველაფერი ეს გაიაზრა, თოფი შეაყენა, ორივე ხელით ჩაბოჭავა და წელში მოხრილი და განაბული ჯებირისაკენ გაემართა.

ნეტა რა იმალეა ახლა იმ ხერგში, — დათვი თუ მგელი? იქნებ აფთარი არის, ან ვეფხვი წყვებს. თუმცა ჯერ საშიში მოგონებ ჩანს და არც ხმა არც ისმის ნაცვავი, მაგრამ გულის-ყურის მოდუნება მაინც არ ვარგა. და ლაშა ცვლავ გაუცაოცე-ბით ზეგრავს ჯებირს: თვალბს არ ახამხამებს, სუნთქვას იკვებს და, ფეხებზე ფოთოლი რომ არ დააჩქამოს, ყოველ ნაბიჯს დიდი სიფრთხილით ადგამს.

ასე მიღწეა ბუერების ბუნებამდე, აქ შედგა და ოდნავ, ძლივსადაცნაოდ დაუსტინა. არა, ხერგში არაფერი შერხეულა და არც რაიმე გახმაურებულა. კიდევ დაესტინა უფრო სხამალა და თვალს და ყურს უფრო გაამახვილა, — ჯე-ბიშნი თუ რაიმე ნადირი იქნებოდა ახლა კი უსათუოდ უნდა დაემფრთხაოდი და თავი ოქნადა, მაგრამ ხერგში ჩაბუდეული სიჩუქე არც ამჟერად დარღვეულა. მამ საშიში და სახი-ფთოვ არაფერი ყოფილა, — დასაყენა ლაშამ, ჩახმახი დაუშ-ვა და ბუერისაში სრულიად უშინობად და გულდაგულ შეიბოჯა. მაგრამ დაიცა, ეს რა ირეკვა წვერილ ფეხებს? იქით?! ლა-

შა ერთბაშად შედგა, დაიღუნა და ერთმანეთზე წაწელილ ხეებს შორის ნადირის ყვირთი ზურგი დალანდა, ბიჭოს, როგორ მოხდა, რომ ეს ყვირავი ვერ შენიშნა? იქნებ ირეკვა-ბა? ლაშამ ერთი ნაბიჯი კიდევ წადა წინ და უფრო დაკვირ-ვებით დააშტერდა. არა, ნამდვილად რაღაც ნადირი წევს. აგერ, ოქროსფერი ბლანდი უკვე აებურებნა. რა უნდა იყოს? ფე-რით თითქოს პურდღელსაც წაავაგას... მაგრამ კურდღელი ასე-თი დიდი რომ არ არის?.. იქნებ მგელია? მაგრამ ის წა-ლისფერი ხალები რაღაც? თანაც რა დიდი! ნეტა აფთარი ხომ არ არის? ასეთი ბეჭედი და ხალები სწორედ აფთარსა აქვს...

თუმცა სულერთია, რა იქნება, — აფთარი, მგელი, დათ-ვი თუ სხვა რა, თუნდ მართლაც ვეფხვი იყოს, — ლაშამ შიში არაფრისა აქვს: ხელში წადავდი, საიმედოდ თოფი უჭირავს და შიგ სამხელ კარტჩით დატყეილი ვაზნა უდევს. სასწრაფოდ ასეთივე ვაზნებით აქვს სასე-ოდონდ სწორად უნდა იმოქმედოს, რომ ნადირმა არ შენიშნოს და არ გადაიხვევოს, ან თავდასხმა არ და-სწროს. აგერ, მგინი წამოიწია კიდევ, რაო, წამოდ-გომახ და გაქცევას ხომ არ აპირებს? ვერ მოგართ-ვეს! ლაშა ერთ წამში შეაყენებს თოფს და ნიშანსაც დაგადავს!

ტყის ჩამობურულ დემუარებაში თოფის ხმა შე-ხის გატყენისავითი გაისმა. თითქოს სხეში, ძირი-ანად შეინძრა, გოჭობი შეაზანაზრა და სადღაც შორს, უსასრულო სიღრმეში გაიკოვდა.

ლაშამ თვალს გაახილა და ნასროლს გასვლა. პე-რის ძლიერი ტალღით დარჩეული ხეთა რტოები ისევ ტოკავდა, კარტჩს წვერილი ტოტები და ჩინილები გაქურს და გასახედი გაუმიშვლებინა. მაგრამ ნადირს თითქოს ზედაც არ მოიკარებოდა. შიპი ყვირთი, მუქსალაინი ზურგი უგებნად მოჩანდა იმავე ად-გილზე და თითქოს უფრო მალდაც აზიდულიყო. უკვე თავიც გამოეჩინა, პატარა, წამაბული ყურები დაცე-ქნობა და ქეჩოზე ფაფარიც წამოეტირნა. რა მოხდა? დაიცინა თუ სასაქვე კარტჩმა ვერაფერი დააკლო?


ლაშას უკვე შიში შეეპანა გულში, მაგრამ შიშისა და ფე-რის დრო აღარ იყო. ნადირი უფრე ვეფხვ იდგა, თითქოს უკვე მინდობსაც ზეგრავდა და წელში მორკალული თავდასახე-ლად ემზადდებოდა. მონადირეს სწორედ ასეთ დროს მართებს სიმაჩუვე და გამბედაობა, რომ ნადირს გონს მოსვლა და ღო-ნის მოკრება არ აცალოს, თვითონვე დაასწროს და სული გააფრთხობინოს. ლაშამაც აღარ დაეცინა, სასწრაფოდან ტყვიანი ვაზნა ამოაძირა და საკეტს მივლი ძალით დააწვა, მაგრამ ძეგა ვერ უყო. აი, უხედურება: გასროლილი ძილივ ლულაში გაჭე-დილია და თოფი აღარ იხსნება.

ვაიმე, რაღა ქნას ახლა? შემოფთობებული მზერა თავისდაუნებურად გაეპარა ჯებირი-საკენ და თავგარს დაეცა: უცნაური მხეცი მთელი მკერდით წამომართულიყო, პირი ფრთოდ დედოდ და გოჭოს სიგრძე კბილებს აეღვებდა.

ლაშას უცბად თითქოს ყურთასმენა დაეხშო. ტანში ციფმა ქრუნტელმა დაუბინა და თვალეში ბინდი ჩაუდგა. ახლა კი გაათავდა, თავს ველარაფრით დაიცავს და აღარც გაქცევის

ლონე აქვს: ხელ-ფეხი ისე მოუღუნდა, რომ წაქცევას აღარაფერი უკლია და ხმაც დაეხშო. უცნაური, უცხო მხეცი კი სულ უფრო საშიში ხდება, — თანდათან მალლა იწყებს, იზრდება და სახიფათოდ იზმორება. აგე, წინა ფეხები უკვე ხეზე შემოდო და ლაშამ თითქოს სამუქარო ღრუნაც გაიგონა...

ამის შემდეგ რა მოხდა, — როდის გააგდო თოფი ხელიდან, როდის მოსწყდა ადგილს და როდის დაივიწყრა პირველად — მიშველეთო, აღარც თვითონ გაუგია. რაკი ერთი ფეხის გადადგმა და ადგილიდან დაძვრა შეძლო, თითქოს ფრთები გამოიხსნა. მაგრამ საით გარბოდა, ვერ ხედავოდა და არც შეეძლო გაეგო, რადგან თვალბუბნი ისევ ბინდი ედგა და გარკვევით ვერაფერს ხედავდა. ჯირკებას და ხეებს ზედ ასკვებოდა.



ბარდებში ისლართობოდა, იქვეოდა, თავდაყირა კოტრილობოდა, დებოდა და ისევ გარბოდა. გარბოდა და თან გაბნით სულ ერთსა და იმავეს ყვიროდა:

— მიშველეთო!.. მგელი... ვეფხვი... აფთარი...

ვინ იცის, როდემდე ირბენდა ასე — იქნებ სადმე ხრამშიც გადაიჩეხილიყო, რომ უცბად ერთ შუახნის კაცს ხელი არ ეტაცუნა და არ შეეჩერებინა.

— რა მოხდა, ბიჭო, რამ შეგაშინა? — შევიტოხა კაცი, მაგრამ ლაშას არც შევიტოხა გაუგონია და ვერც კაცი იცნო. ბინდამდგარ თვალბუბნი ისევ საშიში მხეცი ელანდებოდა, კაცს ყურს არ უხედებდა, ისევ გასაქცევად იწყებდა და კვლავ ახავი-სას გაიძახოდა:

— მგელი... ვეფხვი... აფთარი...

— რას ბოდავ, ბიჭო, რა ვეფხვი და აფთარი, გამაგებინე, რამ შეგაშინა. — უფრო ხმამალა ჩასძახა კაცმა, ხელები მხრებში ჩაჰკიდა, თავისკენ შემობარუნა და სახეში ჩაასტერ-

და, — ბიჭო, ლაშა, რა დაგეშინა?... ვეღარა მცნობ? მე ვარ. ბიჭო, ძია ნიკო ვარ, აბა შემომხედე.

„ძია ნიკო? ვინ ძია ნიკო?“ — ლაშამ ამღვრეული თვალები ხანგრძლივად მიახტერა კაცს და თანდათან გონზე მოვიდა, იცნო ვინც იყო, კოლმეურნეობის მეტყვევ ელაპარაკებოდა, როგორც ყოველთვის, დღესაც დილადაშინადა იყო სახლიდან გასული. ტყის შემოვლა-დათვალეობებს რომ მორჩა, დაღლილი, ჩვეულებრივ, ჩრდილში წამოიწვა. და ის იყო, ჩასთვლიმა, რომ ლაშას თოფის ქუხილიც გაიგონა. ნიკომ იფიქრა, ბრაკონერები შემომეპარნენო, და ფეხაკრეფით წაივდა იქითგან, საითაც თოფი გაეარდა, რომ უჩუმრად მიჰპარვოდა და დანაშაულისთვის დანაშაულზევე წაესწრო, და აი, ბარ-

დებში კოტრიალით თავ-პირდაცარულად გულგანსეტილ ლაშას კი გადაეყარა.

— აა, ბიჭო, თქვი რა ნახე, რამ შეგაშინა? — ეკითხებოდა ნიკო ჩაცხუბით, მაგრამ ლაშა კრინტს არ ძრავდა. თვალბუბნამღვრეული და ფერწასული დამფრთხალი ნადირივით იყურებოდა აქეთ-იქით, სლოკინებდა და ცრემლიან ღოჭებს დამუშტული ხელებით იწმენდა. ბოლოს, როგორც იქნა, შესწლო ხმის ამოღება, — იქ... ვეფხვი იყო... — თქვა ჩურჩულით და გააჩუმდა.

— ვეფხვი?! — ნიკომ თვალბუბნი გამოეოკრკლა, — რას ამბობ, ბიჭო, აქ ვეფხვის რა უნდა! — ჩაცუქტდა, ლაშა მუხლგმუშა დაიყენა და ნიკაბი აუწია, — დათვი ხომ არ იყო, ბიჭო, აბა კარგად მოიგონე?

— ჰო, დათვი... იყო. — ჩაილუღლუღა ლაშამ.

ნიკოს ესეც საეჭვოდ მოეჩვენა. ოც წულზე მეტი იყო, რაც მტყვევად მუშაობდა და ის ტყე სუთი თითოვით ჰქონდა შესწავლილი. ზეპირად იცოდა, რა და რა ნადირი ბინადრობდა

შიგ, ისიც კი იცოდა თითოეული ჩიტი სად იდგამდა ბუდეს და, დათვი რომ ყოფილიყო სადმე, როგორ გამოეპარებოდა. არა, დათვი არ იქნებოდა. ზუნადმიმავალი შემთხვევითაც რომ შემოვარდნილიყო, დღისით-მუისითი სოფელთან ასე ახლო მის-ვლას მაინც ვერ გაბედავდა. მაშ რა იყო, რა ნახა ლაშამ, რამ დასცა თავზარი?

— იქნებ მგელი იყო? — ეჭვით ჰკითხა ნიკომ.

— კი... იყო. — მიუგო ლაშამ და ცოტა მოგვიანებით დაუ-მატა: — აფთარს ჰგავდა.

— მგელი იყო და აფთარს ჰგავდა?! ეს როგორღა? — უფ-როს უარესად გაოცდა ნიკო და ლაშმა კვლავ სახეში ჩაამტერ-და. — ბიჭო, რა არეულად ლაპარაკობ, ვეფხვი საქართველო-ში ას წელზე მეტია, რაც გადაშენდა. იქნებ არაფერიც არ იყო და მოგებინა? ამა კარგად დაფიქრდი!

ლაშამ წერწყვი გადაეკლამა და, — იყო, ნამდვილად იყო...

— თქვა ტკეპნით.

— ჰოდა, რა იყო, გამაგებინე! — მოთმინება გაუწყდა ნი-კოს. მაგრამ ლაშმა გაქეფავებელივით დუმდა. ამ კითხვა-პასუ-ხებმა ისე აურიხ თავგზა, რომ ახლა უკვე თვითონაც აღარ იცოდა, რა ნახა — დათვი, ვეფხვი, მგელი თუ აფთარი, დ-რომელი დაესახლებინდა. პირმოკუებული მიწას ჩამტერებოდა და მამიდელ ქონავდა. ნიკომ შეანჯღრია და კითხვა გაუშორა. — პა, ბიჭო, ხმა ამოიღე, თქვი, რამ დადგა თავზარი?

— არ ვიცი, — გაბრაზებით თქვა ლაშამ და გვერდზე გაი-ხედა, — ვეფხვიც იყო, დათვიც, აფთარიც... ყველაფერი იყო. ნიკო ახლა კი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ლაშა რაღაც მორყენებისაგან იყო გულგახეთქილი და ხმამაღლა გადიასარ-ხარა.

— ჰეჰე, შენ მთელი სამსუკეთვი ერთად დაგსხმია თავს! როგორ გადარჩი, ბიჭო? ძალიან გიგაგაკენია, თორემ რას გა-დარჩებოდი! ხა-ხა-ხა! თოფი მაინც რა უყავი, ბიჭო, თოფი?

— თოფი? — ლაშამ ცარიელ ხელზემე დაიხედა და ახლა-ღა მოაგონდა თავისი თოფი, — ჰო, იქ... დარჩა.

— როგორ, დარჩა?! — ვითომ გაიკვირვა ნიკომ, — აღარ წამოგყავა? იქნებ შენ თვითონ დაუტოვე? ბარემ სასწრაფოც მიგეცა, — სროლაში გაიკვირებოდნენ. მეტყვევებ გაოგ-ნებულ ლაშას ხელი მოჰკიდა და წინ უბიძგა, — ამა ერთი გამოძიხი და ვნახოთ, რას აკეთებენ ი შენი ვეფხვი, დათვი, მგელი და აფთარი.

ლაშამ არ იცოდა, საით დარჩა ჩახერგილი ღელის ნაპირი, არც თავისი გამოჩრბენილი გზა ახსოვდა და არც იქით წასვლა უნდოდა, — სამუქაროდ აღრენილი მხეცი ჯურაც თვალწინ ედგა და ტანში ისევ შიშის ქრუანტილი უვლიდა. მაგრამ მე-ტრ რა გზა ჰქონდა, — შიშს ძია ნიკოსთან ვეღარ გამაჩნედა, ისიც ეყო, რაც სირცხვილი ჰგამა, და, გარდა ამისა, ბურებში გადაგდებულ თოფსაც მონახვა და წამოიღება უნდოდა. ლაშამ უწაინოდ მოათავაღიერა გარემო, ჩახერგილი ღელესაკენ წა-

სასვლელი გეზ-სავალი მოისაზრა და ფხბათრევიტ გაბრუნდა უკან.

დაიცა ჯერ მივიდნენ, დაანახეს, აჩვენეს... თუმცა... თუ აღარ დახვდებოთ იქ, ნაკვალევს ხომ დატოვებდა. ვინ იცის, იქნებ მიწაზე სისხლის წვეთებიც იყოს... ამა, ვნახოთ, მაშინ რა გუნებაზე დადგება ძია ნიკო, ვნახოთ, თუ კიდევ გაი-ცინებს! ასე მსჯელობდა ლაშა გულში, ნიკოს წინდაწინვე ნიშს უგებდა და თავდახრილი, მხარბრახაჩიერილი ბარდებში ბორ-ძიკ-ბორძიკით მიცანკლებდა.

აი, ღელისპირა ბუერიანი ვაკეც, აგერ ჩახერგილი გაღმია კიდე და... აგერ მხეციც. ის არც გაქეცულა და არც დამხრ-ხალა. მართალია წინა ვეფხვი ხეზე აღარ უდგას და აღარც ალესილ კბილებს აეღვებს, მაგრამ ფორაჯიანი ზურგი და დაქვევებული ყურები იმავე ადგილზე მოუჩანს. ლაშა შედგა, აკანკალებული ხელი წინ გაიშვირა და ჩურჩულით წარ-მოთქვა:

— აგერ... იქ არის... ისევ იქ არის.

ემანდ მართლა არაფერი იყოსო, გაიფიქრა ნიკომ და სიფ-რთხილისათვის თოფი მოიმარჯვა. ლაშას ხელს თვალი გაა-ყოლა, ჩახერგილი კიდე მთელ სიგრძე-სიგანაზე დახვერა, მაგრამ იქ ნადირის მსგავსი ვერაფერი შენიშნა. ისევ ლაშას-აკენ შემობრუნდა და ხმამაღლა შეეკითხა:

— სად რას ხედავ, ბიჭო, იქ არაფერიც არ არის.

— სსუქ! — შეშინებული ლაშა ბურერებს ამოფარა. — აგერ, ზურგი რომ უჩანს ყვითლად... ხეებს შუა.

ნიკომ თვალები მოჭუტა, გაგულსებით დააცქერდა ხეებს შორის გამოჩრილი ყვითელ საგანს და ხელი ჩაიჭინა. — მარ-თლა ვეფხვი ყოფილა, — თქვა თავისთვის და ლაშას მხე-და, — მოგივლავს და ეგ არის! — შესძახა მხიარულად და ხელი ისე ძლიერად დაარტყა მხარზე, რომ კინაღამ ჩააჩოქა. — ბიჭი ხარ, ბიჭი! აბა, რა ეგინა, მგენს ტყეში რომ მოძებ-ნოდა, — არ იცოდა, ვისთან ექნებოდა საქმე? მაშ, ასეთი ბიჭები ვართ ჩვენ! ახლა ისღა დაგვრჩენია, რომ გავიდეთ, ერთი საქაროდ, მონადირულად შემოვტაცაოთ და სამწვადე-ბიჯ ავაჭრათ. გამიერთია, ვეფხვის მწვადი ძალიან გემრიე-ლიაო... აი, შენი თოფიც აქ ყოფილა, აბა, დაიჭი და მომე-ვი! — თოფი ლაშას შეაჩერა ხელი და დღეღმეო ჩააბიჯა.

„რაო? უკვე მოგიკლავო?“ — ლაშამ ყურს არ დაუჯერა ნათქვამი და გაშტერებული კარგა ხანს უძრავად იდგა ად-გილზე. იქნებ ისუმრა ძია ნიკომ? მაშ რაღად მიდის გეზბირი-საკენ? არა, ხუმრობას არა ჰგავს, — ტყეილი რომ იყოს, ამ სიღრმე ღელეში არ ჩავიდოდა. იქნებ მართლა, — ა? — გაი-ფიქრა ლაშამ და გული სისხარულით აუჭქროლდა. გადატანი-ლი საფრთხე, შიში და სირცხვილი იმავე წამს დაავიწყდა.



ნაჩქარევი სიამაყე და თამბორუნება ნაჩქარევადგე ჩაუტრა. მხრები, დუნდ ჩამოყარა, განზე გადაგა და, დარცხვენლი და გულდაწყვეტილი, ზურგით ხის ფესვებს მიყრდნობდა. ამ დროს ნიკოც შემოხვდა დღის კიდევზე. — რა იქნა, ბიჭო, ვეფხვი? — გასძახა ლაშას და კვლავ ხმამაღლა ხარხარი ატება. — ი, მონადირეც ასეთი უნდა, — ვეფხვს ესროლა და სოკო კი მოკლა!

ნიკომ კარგა ხანს იხარხარა, ბოლოს იჯერა გული სიცილით, ლაშასთან მივიდა, ხელი მხარზე მოხვია და, შენ ამაზე არ შეუზღდო, — უთხრა, — ასეთი მარცხი სხვადასხვეს მოსვლია. რა გუყო, ხდება. მონადირე უფრო სროლით ფასდება და, სროლით კი, რაც მართალია მართალია, სანაქებოდ გისურვია. შენედე, კარტჩის სულ დაუცხრილავს. მწვადი ამანაც გემრიელი იქნის. აი, დავანთოთ ცეცხლი, შეგვითა და, ნახავ, როგორ ჩაგაღებებ პირში.

ნიკომ ფუტურო თელას მთლიანად ააგლიჯა გუნჯალი, ხშირი ტოტებიც იქვე აატება და ჯებირს ზემოთ, ვაკეში ცეცხლი დაანთო. სანამ შეშა ჩაიწვევბოდა და ჩანავევრხლდებოდა, სანადირო დანიო სოკოებს ყუნწები გადააჭრა, ზედა, ფორაჯიანი კანი გადააფხიკა და დღეზე გაჩეცა. ქვედა, ფურცლოვან მხარეზე მარილი წაყარა, ნავევრხლზე გააყოფო და ცეცხლს გვერდით შემოუწვა.

ისკუბა, წამოწვია ნიკოს და დღეში წყლიდან ამოშვერილ ლოდებზე გადასვლაც დაასწრო. ხუმრობა საკმე სომ არ არის, კაცმა პირველივე გასულაზე ასე ხელიღებლიანად ინადიროს, — ყველაზე სამში და მძინვარე მხეცი ერთი გასროლით წააქციოს და თვითონაც უკნებლად გადაჩრქვს. მართლაც რომ ყველაფერი ეს ძალიან ჰგავდა სასწაულს და საამაყო, თავმოსაწონებლადაც კმაროდა.

აგერ უკვე აფოფხდა ჩამომხვლეველი კიდევ, აი, ძირიანად ამობრუნებულ ხეებს შორის მოქცეული ნადირის მუქშალაინი ყვირთელი ზურგიც გამოჩნდა. ცოტაც და, ხელსაც შეახებეს აბრეშუმით რბილ ბეწვს. აი, გაიწოდა კიდევ ხელი, შეახო... მაგრამ ინაე წამს დამწვარი იტიტაცა და უკანვე წამოიძლო. გაოცებისაგან პირი ფართოდ დააღო, — ვეფხვის მაგიერ, ფუტუროზე ერთ ადგილას ამოყრილი ქორა სოკოების უზარმაზარი გუნჯალი შერჩა ხელში.

სოკო მალე ამიშინდა და პატირ მსუყე სურნელი აუშვა. ნიკო ჯობით უქცევდა გვერდს, ენას აწკლავუნებდა და მალი-მალ იმოურებდა: — ასეთი სასწაული არადა მომხდარა, რომ კაცმა ვეფხვს ესროლოს და სოკო მოკლასო. კორესპონდენტები უნდა დაგიბარო თბილისიდან და ეს ამბავი გაზეთებში დავეჭროთ. დროდარო ხის ძირას ატუნებულ ლაშას გახედავდა და, — რას გაჩუმებულხარ, ბიჭო, სომ კარგი იქნება, რომ გაზეთებში დავეჭროთ და ქვეყანას შევატყობინოთ, — გასძახებდა.

ლაშა ხმას არ იღებდა, გული ბოღმით ჰქონდა გასიხეული და ხუმრობა აღარ ეკარებოდა. თავის მარცხსა და შერცხვენას ახლა უფრო ცხადად გრძობდა. დაღვრემილი და კრიტიკურული მიწის ანტირდებოდა და გულში მგაბასეგერ წყველიდა იმ მაცდურ წუთს, როცა მამის დაუკითხავად თოფის ჩამოსხნა და ტყეში მარტო წასვლა გადაწყვიტა.



გიორგი ლეონიძე სახალაზროვის დროს.

„მთი მთავარსარდალი ოი-ამა თუ გავიგითო“ და, ორივეს გამომცდელად შემოგვხედდა. მაგრამ პასუხი აღარ დაგვაცალა და სიტყვა გააგრძელა: „აგაკის ლექსი „ოი-ამას ვენაცვალე“ თუ წაგვიტოხავთ, სწორედ ამ გენერალზე აქვს დაწერილიო“.

— რუსეთის სარდლებსა და გენერლებს თუ იცნობო? — შეეკითხა არჩილი.

როგორ არაო, — მიუგო გოვლამ და გვარებისა თუ თანამდებობის მიხედვით იმ დროისთვის ცნობილი ყველა მხედართმთავარი ჩამოთვალა.

მოიხსენია სასაზღვრო ჯარების მთავარსარდალი გენერალი სტეცელი, გენერალი კუროპატკინი, პორტარტურის კომენდანტი, ქართველი გენერალი გიორგი ყაზიბეგი იყო, — დაამატა.

— ყაზიბეგი — გავიკვირე მე. — დიახ, ყაზიბეგი და არა ყაზბეგი, როგორც ახლა რუსულად ამბობთ, მიპასუხა და განაგრძო:

— კუროპატკინმა უბრძანა ყაზიბეგს: დაცალე ციხე-სიმაგრე, ჭარიანად უნდა უხედა დავიხიოთო. ის ყაზიბეგი თურმე უარს იყო, თავისი გაიტანა და უკან არ დაიხია, ომიც წააგო მთლიანად.

არჩილი კიდევ შეეკითხა, კამბანსკებზე რას იტყვიო.

— ის ხომ უბრალო ბრიგადის გენერალი არისო, — მოკლედ უპასუხა გოვლიკოპ.

— მეცა და არჩილიც განცვიფრებულები დავრჩით მისი მესხიერებით. დღეი ადამიანებით მსჯელობდა. გოვლიკო იმ დროს ჯერ სრული ცხრა წლისაც კი არ იყო.

გავიღა ხანი, გოვლიკო უკვე მოწაფეა, უკვე გოვლად იწოდებო. მისმა უფროსმა ძმამ ლუიანმა — თბილისის სასულიერო სემინარიის უკანასკნელი კლასის მოსწავლე — თავისი უმცროსი ძმა გოვლა თბილისში ჩაიყვანა და როგორც მღვდლის შეილი და ობოლი, თბილისის სასულიერო სკოლა-პანსიონში მოაწყო. პანსიონი აუკვალის და რეუტოვის ქუჩების კუთხეში, ახლანდელ ოქტომბრის ქუჩაზე მდებარეობდა. გოვლას უხედობლი ან ჩვენსა, დიდებუნი უფროსი ძმა ლევიანი როცა მოიყვანა, ან კვირამით მე მივაკითხავდი ხელზე პანსიონში. ერთხელ, 1910 წლის შემოდგომაზე, კვირა დღეს, როცა პანსიონში მივაკითხე, შემომთავაზა: ჩვენს მწიგნობართან —

მოხუც ზაქარია ჭიჭინაძე მთაწმინდელთან წავიდეთო, გაგაცნობ და ახალ წიგნებსაც შევიძინებო. მე და გოვლა ჭიჭინად დავდიოდით ქაშუეთის ეკლესიის ქვემოთ ბუკინისტებთან, ახლაც სიამოვნებით დავეთანხმე. როცა თუმანოვის ქუჩაზე № 21 სახლს მივუახლოვდით, შორიდანვე დავინახეთ ალაყაფის კარებთან ტაბურეტზე ჩამომჯდარი მოხუცი ზაქარია მთაწმინდელი. მისეღოსთანვე გოვლა რიხიანად, დიდი ადამიანებით დავებნაურა: „სალამი ძია ზაქარია! აი, კიდევ მოვიყვანე ერთი მუსტარი, წიგნების „მუსუსია“ და ჩემი გვარი უნებრა. მოხუცი წამოვდა, ხელი ჩამოგვართვა და მეითხა: რომლისა ხარ, შვილო, შაქრო გულისაშვილი? — ზაქარია მღვდელი — შენი რა არისო?

— ბიბა ჩემი, მამაჩემის ალალი ბიბაშვილი, — მიუგო. — გულისაშვილებში შაქროს, იოსებს და გაბოს ვიცნობ. ესენი ძველი მასწავლებლები არიან, ხალხოსნები. „წითელ რუბინიკებს“ ეძახიან. სემინარიიდან გამოირიცხეს. ამათ კი ხალხში გასვლა დაიწყეს, სოფლებს მოედგნენ, ხალხი უნდა გავანათლოთო, ახალი ხანა უნდა შევქმნათო. ზაქარია თავის ღარიბულად მოწყობილი, აუარებელი წიგნებითა და დასტა-დასტა ეურნალ-გაზეთებით გამოტრეხილ ოთახში შეგვიძღვა, თაროებზე, მაგიდაზე თუ ფანჯრის რაფკებზე წიგნები და გაზეთები ეწყო. გოვლა შინაურულად ესაუბრებოდა ძია ზაქარიას მწერლებზე, ისტორიაზე და თან არჩევდა წიგნებს. ირა სე.

ასო დაეყვით ძია ზაქარიასთან. გოგამ მოაგროვა წიგნები, მეც ამოვიჩინე. მერე გოგამ ჩიხიდან ამოიღო (მოდამი იყო შინ მოქსოვილი ქისკები) პატარა ქისა და მაკიდაზე წამოიანია ვერცხლის გროწები. „აი, ძია ზაქარია, არ დამეძღვრო, რაც ფული მაქვს, გიტოვებ, იხარალბე თუ მივცემ ხელს იცოა“. მეც გავიტარე ჩიხები ხელი და გოგალს გროწებს ჩემი ფულიც, ნიკოლოზის ვერცხლის მანეთიანი მივუბატე. ზაქარიამ გამოგვაცლია. გოგამ აიკაღა „კახოში-ნი ფორმის“ ტუტურკა. ბრტყელი ქამარი წინასწარ შეისხა, თავისი წიგნები მუცელთან შეიწყურა, ვაისწორა ტუტურკა, ქამარიც შეიღობა მორჩილად და თქვა: ასე სჯობია, იხირო „ნაღობრიატში“ ვერ შეგამჩნევს უნებში თუ წიგნები მიწევიაო. პანსონში ხომ უნებ წიგნების, მითხრობს ქართული წიგნების შეტანას და დედანებზე ლაპარაკს სასტიკად კრამლავდნებ.

1927-28 წლებში, როდესაც სიღნაღში ვესახურებდი, იქ გაიცაინი გიორგი კორძინის კლასი ამხანაჯი ქიზყელი ლეო ქველაშვილი. პროფესიონალი ბუღალტერი, ისე კი ცნობილი იყო, როგორც სტენოგრაფი. როდესაც ვაიყო, რომ გოგალს ლოწონიქი ჩემი მამიდაშვილი იყო, მიამბო:

ეს იყო 1912 თუ 1913 წლის შემოდგომაზე. სემინარიის ინსპექტორი ბერ-მონაზონი ფილიპე სხვაგან გადაიყვანეს. მის აღვიღზე დანიშნეს ქალაქ მინსკის სასულიერო სემინარიის შეარსებელი ვინმე იაკობოვიჩი. არარუსი მოსწავლეები შევიწროვებულენი ვიყავით. ყოველ მხრივ დიდებანზე ლაპარაკს გვეკრძალებდნენ, არც ქართული წიგნის კითხვის ნებავს გვაძლევდნენ. კვირის ნორმაზე შევივითხარებ, ველარ მოვიტანეთ, ვერ ვართანებთო დაწვეულებით. მოსწავლეები უფრო იმას ავადუღავ, რომ იაკობოვიჩმა არავითარი უფრადლება არ მიაკეთა ჩემს წერილობით განცხადებას. მაგრამ როცა უფროსკლასელებმა მხარი დაგვიჭირეს და წაგვკეჭეს, ბოიკოტი გამოვაცხადეთ. ეხომი მოვაწყეთ გაფიცვა. პატარა კრება ჩავატარეთ. იაკობოვიჩის ენაცხივებმა ეს ინსპექტორს აცნობეს, რომელმაც დაუფიქრა პოლიცემისტის ტროსკის მანაც ფორნა ცხენსანი კახაკების ასეული ბუნტის ჩასაჭრობად. მიტინგის მონაწილეებს წინასწარ ჰყავდათ გაფრთხილებული მეტეფალურე ბიჭები, რომლებმაც შორიდანვე შენიშნეს ქალაქის მხრიდან შეკცხივებზე ამხედრებული, შეკჩიოლებში გამოწყობილი შეიარაღებული ყაზახები, რომლებმაც იყვინთეს


გზაზე მტკერის ბული დააყენეს (მაშინ სემინარია ახლად გაღასული იყო ვაკეში, ქალაქიდან დაშორებით, ახლადღელი უნივერსიტეტის შენობაში, ტრიალი მინდორზე). მეთვალყურეები მანინეც მიხედნენ, თუ რა ამბავი იყო და შეგვატყობინეს, თავს უშველიეთო. უფროსკლასელი მოწოდებები დაეშენენ მდინარე ვერეს ხეგანეებში და ბაღებისაკენ. ზოგა საჩოლოთახებში დაიმალა. ეზოში მე და გოგამ დავიჩით. უკვე მოსაღებებულყოფი, რატომღაც პანსონის სასადილო საშარეულელოში შევცვივდით, მივიხედ-მოვიხედით, თავმებად ვერა ვნახეთ და ბოლოს, გოგამ იორი მებება დამირქვევებულ სპილენძში ყუროანი ქვაბი დანიხა, მამინეც ვეიჯით და საითათო შეგვეჩვიე ამ ქვაბებში. იმდენი მოვიფიქრეთ, სულ რომ ამ შეგებუთადა ცალ მხარედან შეშის ნატეხები დაეუყვინეთ, შეტლებზე გაეწყეთ და ქაბასა და იატაკ შორის დაჩრჩინილი ქუქურტებიდან თვალუტრს ვაღვებებდით, როგორ შემოვიცივდნენ საშარეულელოში მივინთა და გინებთ ყაზახები. გააფთრებულნი, რაც კი ხელში მოხვდებოდათ, აქეთ-იქით ყრადიყენ. დადებნიმე საათს დაეყვით ამვეკრ მიშისა და ვეიბაში, აზრადაც არავის მივცლია, ქვაბებში რამ იორი იქმნებოდათ მომწვევებული. დაღალდა და მიწყნარდა ყუვილედი. ბოლოს გოგამ ამობიბადა: „კოტე, კოცხალი ხარ, სული ხომ არ შეგებნუთათო“. როგორც იყო, მივაყვინდინე ხმა. გოგა ჩემთან შედარებით ჩანიბიბი იყო. მე ხეგელა, თხელი ვიყავი. უკვე ქვაბი გადავიყრავდა და გოგალს შეთავისუფლდა ტყვეობიდან. მამინეც ჩემთან მოვიარა და ჯაჭვური დაუწყო ჩემს ქვაბს. მეც მივეშველე და მალე გამოვტყვინე. ვარევი გამოვდილი. ეზოში ჩამიბრუნე არ ისმებოდა. დასამინებელი ითახის ფაჩერებში სინათლე ბეტურავდა. ჩემეც იქით გავეშურეთ, ზოგი ტორბა, ზოგი იცინოდა და ერთმანეთს უამბობდნენ, რა ხრიკებით გადაიჩინეს თავი ყაზახების მთარახებისგან. ზოგისთვის იცემთ კოლეც და გამწარებულები უკუტრთხავდნენ მტარვალბებს. ბიჭებმა შეამჩნიეს, ხელპირი და ტანისამოსი გამურული რომ გვეწონდა. ელემტრონის შუქზე ვმაცხებივით ებრალებდით. როცა მოგუყვავით, თუ როგორ გადავიჩინეთ თავი, იმდენი იცინეს, რომ თავიანთი სიმწარე სულ გადავიწყდათ.

მიხილ გვალსავილი.

არსო ონალი

საქართველო

საბჭოთავი




დლით, როცა გაის სოფელს მუე მოავლდეს ოქროს ვარაყს, ნისლის ფარა მოიხსნოს ზოლად მისდღეს ნისლის ფარას, ტოროლა კი წკრიალა ხმით სავალბობეს ამზობს ცნოლად, და შორიდან სწენას ატკობს ნაწორი და ოროვილა; კოლდებსა და მდელეოზენ ალბანსიეთ ბრწყინავს ცვარი, — სწორედ ამ დროს, სწორედ ამ დროს დაიჩრევა სკოლის წარი...

შეწყდა მდრა და თამაში, ახმურდა დერიფანი, თვალს რომ ასე ხიზლავს მისი კერ სიგრძე და მერე განი.

რა კლასები ფანერებიდან ყვავილები გვფენენ. დომოსს, ცოდნის კერა, სწავლის კერა სასიამო ცეცხლით დღვის.

რა, აგერ გაის კლასიც... ზღაპრული რამ გვიგონება: რა მალხაზი ბიჭებია, რა მალხაზი გოგონები წინ წის გაა, გაყვითილი არ იცოდეს? ახა, ვინ თქვას! სხაასხუპით უხასულებს მანასწავლებლის ყოვლდ კითხვას.

საამაყო მამის შვილმა კარბად იცის ცოდნის ძალა, მტკიცედ სჭერა ერთი მცნება: სწავლა, სწავლა, მხოლოდ სწავლა!



ჯიბებში ჩაიწყო და ტუჩების ცმაცუნით ოთახი მოათვალიერა.

რა ფულიც ლოშმა სემუშეინს ვაჩანდა, ჯობდა ისევე ჯიბეში დებოდა; ზუსტად იცოდა: ცამეტ კაპიკო ჰქონდა, მაგრამ მაინც ამოიღო ფული და ხურდა ხელს გულზე გულმოდგინებით გადაითვალია, ეგების მტერი გამოვიდესო.

ლოშმამ მაღაზიები დაიარა: სასურსათო, საკანცელარიო, საკონდიტრო, საგალანტერო. ყველაფერს გულმოსით ათვალიერებდა, მათ ღირსებასა და თავის კიბის წონიდა. ბევრ რამეს ისე იწუნებდა, ფასსაც კი არ ეთხულობდა, რაც მოსწონდა, მათი ფასი კი ლოშმას თანხას აღემატებოდა. გულზე სკდებოდა ბიჭი.

ისე კი ლოშმა სემუშეინს სათამაშო ელექტრო რკინიგზა ყველაზე მეტად მოსდიოდა თვალში. მოსწონდა პატარა ელმავალი როგორ მიასრიალებდა წრეში სამ ვაგონს. მუდამ აუარებდა ხალხი ხევეოდა. გამყიდველი ქალი პულტის ღილაკს თითს დააჭერდა თუ არა, ელმავალი ავღილხვევ იყინებოდა, თითქოს მოსალოდნელი ავარიის შიშით ვილაყამ დაამუხურებოდა. სემუშეინს ავარიის გაფიქრებამზე გუნება წაუხდებოდა ხოლმე, მაგრამ ჯიბეში გამთბარ ხურდა ფულს რომ მოისინჯავდა, მაშინდა ხედებოდა თავისი უგუნებობის ნამდვილ მიზეზს. სემუშეინი გაუფაციკნებით შეჰკურებდა ელმავლის პაწია კარებებს, სახელურებს, მქოლონილ კორპუსს... უცებ სემუშეინი მიხვდა, რომ მას სათაყისო ნივთები უფრო მოსწონდა და ძალზე შეეწუხდა.

ფიქრს მიეცა. წარბიოდგინ დედა — როგორც კი სამსახურიდან ბრუნდებდა, მაშინვე სამზარეულოში შედის და ვახშამს ამზადებს. შემდეგ ყველანი მაგიდას მიუსხდებიან ხოლმე. ვახშმის შემდეგ დედა ისევ სამზარეულოში გადის, კიდევ რაღაცას აკეთებს. რას? ალბათ ქურქულს რეცხავს, ქვაბებს ხეხავს... შემდეგ... სემუშეინმა არ იცოდა მეგრე რა ხდებოდა: ის იძინებდა. დილით მაგიდას მიუჯდებოდა და საუზნობდა. შემდეგ სკოლაში მიდიოდა, დედა კი სამსახურში. დედა ბუღალტრად მუშაობდა და სამსახურში შავსამკლავებში იცემდა, რომ იდაყვეზე კაბის სახელოები არ გაცვეთოდა, არ დასეროდა.

ბიჭუნას ძალზე მოუწონდა დედისთვის ახალი კაბა ეყიდა, თუ იდაყვეზე სახელო გაუცვედებოდა, მეორეს უყიდდა! ლოშმამ ამოიხსრა და გადაწყვიტა დედისათვის ფრთხილად გამოეკითხა — რა სურდა რომ ჰქონოდა. სკოლიდან რომ მოვიდა, ხელები დაინანა, ოთახში ბოლოა დაარტყა და დედის გასავონდა ჩაილაპარაკა:

— ისეთი ლამაზი ირემი ვნახე!
— სად ნაე? — ჰკითხა დედამ და ბალუჩიდან სტაფილოს ამოღებდა დაიწყო.

— უნივერსალში. რეზინისაა, იმოდენად იბერება! ცურვის ღროს კარგია, გამოსადეგი.

— ნეტავ რა თავში იხლი! — დაუტია დედამ. სემუშეინი გაჩუმდა.

მეორედ სამზარეულოში სცადა საუბრის გაბმა. კარებს მიუყრდნო, ფეხი ფეხზე გაღაიღო და დედას ჰკითხა:

— ხომ კარგი იქნება ტახტზე დათვი რომ დავაბრძანოთ?

— ისიც რეზინისაა?
— არა პლუმისა. — სემუშეინმა ძალა მოეკრიბა, რომ დათვი მიმზიდველად აეყურა, იქნებ მოეჭონო, მაგრამ დედამ სულ ცივი წყალი გადაასხა.

— ალიოზა, რა გოგოსათვის იქცევი?
ბიჭი ოთახში გამოვიდა, ტახტზე ჩამოქდა და დაბნეულბიძისაგან ფრჩხილების კენჭი დაიწყო.

— არც პლასტიკის ყუთია მისაწონი? შიგ შვიი და



სემუშეინი

მ ო თ ხ რ ბ ა ა

3. მუშოში

მხატვარი ბ. შიშკინამ.

ლოშმასათვის მხოლოდ მაშინ გახდა ნათელი სიტყვა „სიურპრიზი“ შინაარსი, როცა დედის დაბადების დღე მიახლოებდა. თვითონ ეს სიტყვაც ძალიან მოეწონა, „სიურპრიზი“! დაბნეულად ეღერდა! ისე იგი, მოულოდნელი, ძალიან გასანარეული რამ! ჰოდა, სემუშეინმა გადაწყვიტა დედისათვის სიურპრიზი გაეკეთებინა. ხელები

ლურჯი ტუში აწყვიდა, პატარა ფუნჯი, სარკვე დღეს. — გასახა ლიოშმა.

ღდასა გავდიმა, შვილთან მივიდა, თავზე ხელი გადაუსვა.

— ჩემთვის, ლიოშა, ყველაზე კარგი საჩუქარი ის იქნება, თუ მათემატრიაში „ხუთიანს“ მიიღებ.

სამზარეულოში ტავეზე ხეით ამშობინდა. ღდასა სისწრაფოდ უკან გავიდა, ლიოშამ თავი ჩაქინდა, მოიწყინა: მათემატრიაში ხუთიანის მიღებაზე ასე ადვილად მხოლოდ იმას შეუძლია ილპარაჯეს, ვისაც ოდნავი წარმოდგენა აქვს „ლომეშაზე“.

„ლომეშაში“ — მათემატრიის მასწავლებელია, ამათქმის სულ ცოტა ხნის წინ მოვიდა. გარეხულად კე-

„ლომეშაში“ გადმოხდა ხუთოსანს, მტკიცე ოთხიანი დაუწერა და მთელ კლასს თავზიანად გაუღიმა. არ წუთიდან მიუხედილად, რომ მისი თავზიანი დიმილი არაფერს არ ნიშნავდა. თუ „ლომეშაშიან“ ოთხიანი მიიღეს, ის ისეთი მაგარი და სასუფთაო ოთხიანი ჩქნებ, რამ შეიძლება იაპაო კიდევ, იმასთან ხუთიანი დიმილი მხოლოდ სიმზინად თუ შეიძლება.

სემუშინმა ხელსაყრელი შემთხვევის იმედით, უფრო გულმოდგინედ დაიწყო მადანებელი სიარული და ერთხელაც ისეთ რაღაცას წააწყდა, რომ მტკიცედ გადაწყვიტა, რაც არ უნდა დასკრძობდა ეცედა.

ეს მაიჰენი გახლდათ. ბაზგელიანი კული ვილანოს გასაღებინდა გადაპირებდა. თვალში კი სიღიანი ჰქონდა. მაიჰენი თოვზე რეზინით ეკიდა და თუ რეზინის ჩამოსწევი და ხელს გაუშვებდი, ისეთ ხტუნავს იწყებდა, რომ შენი მოწონებელი, თითქოს აფრივას გაუშვებს და უხარია: ბანითი პირი ჩაეციკლონებო.

სათამაშო, მანეთი და ოთხმოცდაექვსი კაიკი ღორდა სხვა გამოსავალი არ იყო. სანთებელა უნდა გაეყოს. სანთებელა ალიოშას მამისა იყო, მაგრამ როგორღაც მის ჭიბეში გადმოიხაცვლა.

ეხლა კი საჭირო გახდა მისი გაყიდვა. მყიდველიც მაშინვე გაიზარდა — ვასია სტებელი. ვასია სიღიანი თვალი ეჭირა ალიოშას სანთებელაზე, მანეთი აძლევდა, მომყიდო, მაგრამ სემუშინი უარზე იღდა, ახლა კი თავისი ფეხით ეახლა. სტებელი ჩოგან-ბურთის თამაშობდა.

— გინდა? — ჰკითხა ვასიამ და შუბლიდან მუქყყინი ხელით ოფლი მოიწმინდა, სანთებელა ჰაერში შეაგდო და ხელის გულზე დაიდო.

— ჰყიდი?

სემუშინმა ისევ შეათამაშა სანთებელა.

— რას აფსებ?

სემუშინმა სწრაფად გამოაკლო მანეთსა და ოთხმოცდაექვსი კაიკის რაც ჰქონდა — ცამეტ კაიკი — და უთხრა: — მანეთი და სამოცდაცამეტი.

ვასიამ პირი დააღო: ეს კაიკები რაღაა? ორი მანეთი ეგრა თქვა?

— რატომ მანეთი და სამოცდაცამეტი? — ღმილით უთხრა აზნაგას:

— იმიტომ, — უთხრა სემუშინმა და კიდევ ერთხელ ათამაშა ხელისგულზე სანთებელა.

— მაინც? — ჩააცვიდა ვასია.

— იღებ თუ არა? — ჰკითხა სემუშინმა. — რა ლილი გამოიბა.

ვასია სტებელი შეტრიალდა და ეზოს თვალღერება დაუწყო, ყოველ წვირომანს აკვირდებოდა, თან ხელს ჭიბიდან ნელ-ნელა იღებდა. სემუშინს ცული წინათ-გრძობა დაეხდა. ნამდვილად მანეთი და სამოცდაცამეტი კაიკი არა აქვსო, ხაკლებად ჯერ არაფრის გულისთვის არ მიეცემო. მეტი კი, იქნებ დავეთანხმო.


ვასია სტებელი კი სახეს ნელ-ნელა აბრუნებდა სემუშინისაკენ და აი, თვალი თვალში გაუყარა. ალიოშამაც თვალი ჩაუკრა, სტებელმა წარბები შექმუხხა, დაღობებულმა ჭიბიდან მუქში აშილიდა და გაშალა. ხელისგულზე რაღაც ხურდა ფული ეწყო.

— აი, რაც არის, აიღე! — ამოიბრა სტებელმა. სემუშინი ადგილიდან არც კი დაძრულა, მაგრამ თვითონაც აი იცის, ხურდა ფული მის ხელში როგორ გაჩნდა. ხოლო სანთებელი კი სტებელის ჭიბეში. სემუშინს ხელის გულზე, სულ ოთხმოცდაექვსი კაიკი და სახლვარ-გარეთული, ფერწასული მსუბუქი მონეტები ედო.

— სემუშინ, ეს ვალუტაა, — ახლა ვასიამ ჩაუკრა თვალი. ალიოშამ უარის ნიშნად თავი გაქნია, არ უნდოდა დაეჭერებინა, რომ მოატყუეს.



თილი კაცი ჩანდა. კლასში ღმილით შემოვიდა, ელვა-შეგზე ხელი დასხვა, ოქროსფერი სათვალე შეისწორა და მოსწავლეთა გამოძახება დაიწყო. ერთმა შეცდომით უპასუხა, მეორემ ამოცანას კითხვა ვერ გაუგო, მესამემ აბდაუბდად დაიწყო ლაპარაკი. გამოიჭინნენ საკლასო ყურალში „ორიანები“ და „სამიანები“. ფრიადოსანმა ბერშტინმა კი ძლივს მიიღო ოთხიანი, ისიც ამას უნდა უნდა დაელოდეს: როცა მასწავლებელი ნიშნის დასაწერად შექნალზე დახიზა მთელი კლასი ავღუჟნდა და ალიოშამ ხმაძილდა დაიძახა: — ბერშტინი ჩენი კლასის ფრიადოსანია.



— გინდა, ხვალე გადაეცელო ჩვენ ფულზე, ეს სულ უბრალო საქმეა. — ამიღებდა ვასია.

სემუშყინმა ხტოდა ფული ჭიბში ჩაიყარა. მამამ იმ სიამოლი ალიოშას ნაყინსთვის ოცდაათი კაპიკი მისცა. ახლა მხოლოდ ორმოცდაჩვიდმეტი კაპიკი ავლდა. თანხა არც თუ ისე დიდი იყო, თუმცა მისი შოვნა არსად იდან შეეძლო, სემუშყინი იმდენს არ ჰკარგავდა, რომ სტებელი ვაგველოდ, ბრწყინავ სახვარეგართულ მოწებებს ჩაენს ფულზე გადაეცვალა. დრო შეურჩია და მიეკიბო.

სემუშყინს სცხენუნოდა სიტყვა „ვიღობ“ წარმოთქვა. ხლორ ვასია სტებელს კი ისე ეჭირა თავი, ვითომ არალაცხე ფიქრობდა და ვერც კი ამჩნევდა ამხანავს.

— ვასია, გადაეცელოთ? — წყნარად ჰკითხა ალიოშამ.

— არ უნდა ვადავცელოთ? — სტებელმა შეზღო შეეძახა, აგრძნობინა, ხომ ხედავ ვფიქრობ, ახ ხელს მისწოლო.

სემუშყინმა თავს ძალა დაატანა და ჩუმად წარმოთქვა: — ვალტა.

სტებელმა ცივად შეხედა ალიოშას და ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ეს სტებელი კი არა, სულ სხვა ვიღაც იყო, რომელსაც არავითარი საერთო არ ჰქონდა არც ვალტასთან, არც მის გადაცელებთან. არც სანთებელთან და არც სემუშყინთან. სემუშყინმა გაოცებისაგან თვალები ახამხამა.

— მე სანთებელა მუქთად გადავავადე.

ლაპარაკი ფულის გადაცელაზე აწყარად ზედმეტი იყო. სემუშყინს ვეული ამოუჭდა და მოედინისაყენ იბრუნა პირი. უკანასკნელი საჩუქარი ტუტების პომადოდა იყო. პომადო და ნივლის პატარა ცილინდრში იყო ჩამაგრებული და მირის ოდნავი მოტრიალებით წვერი მალა იჩქვდა. სემუშყინს ასეთი პომადო შინ, საჭრის წინაც უნახავს. დედას საფულეთიცი დაქონდა. მამასადავ, დედას პომადო აიარ უბოლოდა.

